კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 23

2025 წლის 18 ივლისი

კასპი

კასპის მუნიციპალიტეტში, წინარეხის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში მდებარე სოფელ გომიჯვარში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. #67.09.31.688) სააგარაკე/საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე

კასპის მუნიციპალიტეტის მერიას 2025 წლის 19 თებერვლის N19/82250501-82 განცხადებით მომართა შპს ,,ქართლის ფერმა"-ს (ს/ნ 4044743320) დირექტორმა, სადაც ითხოვს წინარეხის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში მდებარე სოფელ გომიჯვარში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ. 67.09.31.688) სააგარაკე/საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ნებართვას.

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 მარტის N11 განკარგულების და კასპის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 26 მარტის N ბ82.82250853 ბრძანების საფუძველზე, ინიციატორთან გაფორმებულ იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულება და მიეცა დავალება განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის და საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავების თაობაზე. ინიციატორის მიერ პირველ ეტაპზე წარმოდგენილია განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, და ს.ს.ი.პ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს მიერ 2025 წლის 2 ივნისს გაცემული დადებითი საექსპერტო დასკვნა N25/021.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 38-ე, 41-ე, 43-ე და 47-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის" მე-16 მუხლისა და მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს, კასპის მუნიციპალიტეტში, წინარეხის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში მდებარე სოფელ გომიჯვარში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. #67.09.31.688) კერძო ინიციატივით დამუშავებული სააგარაკე საცხოვრებელი სახლების განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია (ტერიტორიათა გამოყენების რუკისა და განაშენიანების მართვის რეგლამენტის სახით), რომელიც თან ერთვის ამ განკარგულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

2. განაშენიანების დეტალურ გეგმაში ცალკე პუნქტად წარმოდგენილ იქნეს ,,კასპის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ"კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N34 დადგენილებით გათვალისწინებული გამწვანების პროექტი;
3. განაშენიანების დეტალური გეგმის ტექსტური ნაწილი (დასაბუთება და მისი დანართები) წარმოადგენს გეგმის დამტკიცების წინაპირობას და განხილულ იქნას მასთან ერთად;
4. განემარტოს გეგმის შემუშავების ინიციატივის ავტორს, რომ განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია ძალაშია არაუმეტეს 3 (სამი) თვე, მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაცემული დავალებით განსაზღვრული გეგმის შემუშავების ვადისა. თუ ხსენებულ ვადაში განაშენიანების დეტალური გეგმა არ დამტკიცდა, მისი კონცეფცია ავტომატურად კარგავს ძალას;
5. განკარგულების შესაბამისად გასატარებელი ღონისძიებების აღსრულება და/ან კონტროლი დაევალოს მუნიციპალიტეტს მერს;
6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

კასპის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ ბეგლარაშვილი

GEORGIA KASPI MUNICIPALITY SAKREBULO * 232555302 *